



USAID
 ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
 MANAGEMENT
 INSTITUTE
 კანონის უზენაესობის მხარდგაცერის
 საქართველოში (PROLoG)



აპრილის 1992 წლის
 შრომითი ინსტიტუტი
 NATIONAL INSTITUTE
 FOR HUMAN RIGHTS



ადამიანის უფლებათა დაცვა და კონსტიტუციის ლეგიტიმურობა: იდეალები ინსტიტუტების პირისპირ

ნება მომეცით, დავიწყო თანამედროვე კონსტიტუციური თეორიის ლამის თავისთავადი სტატუსის მქონე ჭეშმარიტებებით. საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის ენას სწორედ ასეთი ადგილი უჭირავს თანამედროვე დასავლურ ლიბერალურ-დემოკრატიებში. შესაბამისად, შემდეგი მტკიცებები დამატებითი ახსნის გარეშეც მისაწვდომია ამ პოლიტიკური რეჟიმების მოქალაქეებისთვის- ადამიანები, საზოგადოებრივი ხელშეკრულების თავისუფალი, თანასწორი, გონიერი სუბიექტები თანხმდებიან (ან აქვთ გონივრული საფუძველი დათანხმდნენ) საჯარო ხელისუფლების არსებობას. ხელშემკვერელი მხარის ბუნება განსაზღვრავს თავად ხელისუფლების ბუნებასაც. თავისუფალი და თანასწორი სუბიექტი შეიძლება თმობს ბუნებითი თავისუფლების თავის წილს, მაგრამ სანაცვლოდ ხარისხობრივად უკეთეს და რაც მთავარია საყოველთაო კანონის ძალითა და ხელისუფლების უმაღლესი ძალაუფლების მიერ გარანტირებულ თავისუფლებას მოეღოს.

სწორედ ეს უზრუნველყოფილი თავისუფლება ქმნის მთავარ გონივრულ გამართლებას ხელისუფლებაზე თანხმობისა. ამ შედეგის მიღწევას კი ხელისუფლების განსაკუთრებულ კონსტიტუციურ არქიტექტურას ვუკავშირებთ. ამ არქიტექტურის ნაწილია კონსტიტუციური უფლებები, ისევე როგორც ხელისუფლების დანაწილების პრინციპის შესაბამისად მოწყობილი ინსტიტუციური სტრუქტურა, რომელმაც თვითნებური ძალაუფლება უნდა აგვარიდოს. ეს ლიბერალური კონსტიტუციური არქიტექტურა როგორც ვხედავთ უმთავრესად პოლიტიკურ ძალაუფლებაზე ამახვილებს ყურადღებას. პოლიტიკური ძალაუფლების შეზღუდულობა კი მიგვანიშნებს, რომ ის არ ამოწურავს საზოგადოებრივი თანამშრომლობის მთელს სტრუქტურას. ნიშნავს ეს თუ არა, რომ საზოგადოებრივი თანამშრომლობის სხვა ფორმები და ინსტიტუტები ლიბერალური კონსტიტუციური არქიტექტურის მიღმა რჩება?



USAID
 ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
 MANAGEMENT
 INSTITUTE
 კანონის უზენაესობის მხარდგაცის
 საქართველოში (PROLoG)



პანონის უზენაესობის
 მხარდგაცის
 NATIONAL INSTITUTE
 FOR HUMAN RIGHTS



ერთი შეხედვით, ისევე როგორც კრიტიკოსების დაჟინებით, კლასიკური ლიბერალური კონსტიტუციური არქიტექტურა გულგრილია საზოგადოებრივი ინსტიტუტების და მათი ძალაუფლების მიმართ. ნაგულისხმევად იღებს რა ინდივიდის როგორც თავისუფალი, თანასწორი და გონიერი სუბიექტის მოდელს, მას (ლიბერალურ კონსტიტუციონალიზმს) არ გააჩნია პასუხი საზოგადოებრივი ძალაუფლების იმ ფორმების საპირისპიროდ, რომლებიც სწორედ ასეთი ინდივიდის არსებობას უქმნიან საფრთხეს. თუმცა ეს როგორც ისტორიულად, ისე კონცეპტუალურად საეჭვო მტკიცებაა. იმისთვის რომ ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის პროექტი შემდგარიყო, იერარქიული საზოგადოებრივი სტრუქტურის რღვევა იყო საჭირო. დაფუძნებული/დომინანტი ეკლესიის, არისტოკრატიული ოჯახის, პროფესიული გილდიების თუ კორპორაციების პრივილეგირებული წვდომა პოლიტიკურ ძალაუფლებაზე ან რევოლუციური გზით მოირყა ან ამ ინსტიტუტების პოლიტიკურმა როლმა სრული შინაარსობრივი ტრანსფორმაცია განიცადა.

ამ უკანასკნელი პროცესის დემონსტრირება ყველაზე უკეთ ბრიტანული ინსტიტუტების მაგალითზეა შესაძლებელი. დიდ ბრიტანეთში მოსამართლეები კვლავ იურისტთა კორპორატიული გილდიის წევრებიდან გამოირჩევიან, თუმცა ამას დემოკრატიული წესით არჩეული პარლამენტის მიერ შექმნილი კომისია აკეთებს. ბრიტანეთის პარლამენტის ზედა, ლორდთა პალატაში მემკვიდრეობითი ლორდების და სასულიერო ლიდერების გვერდით ლორდის სტატუსის მქონე დამსახურებული დემოკრატიული პოლიტიკოსები სხედან. ყველანი ერთად კი თემთა პალატის კანონპროექტებისთვის ნოტარიუსის ფუნქციას ასრულებენ. ერთ დროს თემთა პალატის თანასწორის, ახლა ლორდთა პალატის ვეტოს აზრი აქვს დაკარგული, რადგან მისი დაძლევა ხალხის ყოვლისშემძლე წარმომადგენლებს ქვედა პალატაში სულ მარტივად შეუძლიათ.

ამ ისტორიული ტრანსფორმაციის პარალელურად, ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და ძალაუფლების მიმართ გულგრილობის წინააღმდეგ კონცეპტუალური არგუმენტიც არანაკლებ მყარია. ადამიანი როგორც კონსტიტუციური უფლებების სუბიექტი ლოგიკურად შეუძლებელია იერარქიულ საზოგადოებაში არსებობდეს. თუმცა, როგორც ვხედავთ, ეს არგუმენტი მაინც ნეგატიური ფორმით არ ჩამოყალიბებული, ანუ მიუთითებს მხოლოდ ლიბერალური საჯარო ხელისუფლებისთვის კატეგორიულად



USAID
 ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
 MANAGEMENT
 INSTITUTE
 კანონის უზენაესობის მხარდგებობის
 საქართველოში (PROLOG)



საერთაშორისო
 უფლებების
 ინსტიტუტი
 NATIONAL INSTITUTE
 FOR HUMAN RIGHTS



მიუღებელ სოციალურ სტრუქტურაზე. ცხადია, რომ ლიბერალური კონსტიტუციური არქიტექტურა გამორიცხავს იერარქიულ საზოგადოებრივ სტრუქტურას, თუმცა ეს კიდევ არ გვაძლევს პასუხს იმაზე, თუ რა საზოგადოებრივ სტრუქტურებს გვთავაზობს იერარქიულის სანაცვლოდ.

შესაბამისად, კითხვა რომელზეც უთანხმოება რჩება შემდეგი ფორმით ყალიბდება- მოითხოვს თუ არა ადამიანი როგორც კონსტიტუციური უფლებების სუბიექტი განსაკუთრებულ სოციალურ სტრუქტურას? სწორედ ამ კითხვაზე პასუხისას იყოფა ლიბერალური პოლიტიკა რაციონალისტურ-პროგრესისტულ და კონსერვატორულ-პლურალისტულ ფრთებად. შევეცდები მაქსიმალურად მოკლედ აღვწერო ამ ნორმატიული მიდგომების და ფილოსოფიური თეორიების ის ნაწილები, რომლებიც ჩვენი მსჯელობის ფოკუსირებაში და მთავარი არგუმენტის ნათლად ჩამოყალიბებაში დამეხმარება. რა თქმა უნდა, ამ შერჩევითი და აბსტრაქტული განხილვისას, შესაძლოა ცალკეული იდეების/არგუმენტების აღწერაში ან შეფასებაში შევცდე. აქ განვითარებული ყველა შეფასებითი არგუმენტი და ჰიპოთეზა ამ თემატიკაზე ჩემი მიმდინარე კვლევის ნაწილია და მათზე კრიტიკულ მოსაზრებებს მხოლოდ მივესალმები.

დავიწყებ რაციონალისტურ-პროგრესისტული ფრთით. ამ მიმდინარეობისთვის ლიბერალური კონსტიტუციური არქიტექტურა ადამიანის გონების მიღწევაა. ამ თვალსაზრისით, ინდივიდის გათავისუფლება და საზოგადოების გათავისუფლება ორი თანადროული და ურთიერთდამოკიდებული პროცესია. ტრადიციული და იერარქიული სოციალური ინსტიტუტები ამ პერსპექტივიდან თავისუფლებისთვის მნიშვნელოვანი წინააღობაა, რადგან მათი ავტორიტეტი არც რაციონალური განსჯიდან მოდის და არც ადამიანის გონიერ კონტროლსა და რაციონალურ გარდაქმნას არ ექვემდებარება. კონსერვატორული არგუმენტი, რომ აღნიშნული ინსტიტუტები ადამიანის ბუნების ნაკლოვანებებს ავსებენ, იდენტობის, კუთვნილების, ემოციური კავშირების წარმოების ფუნქციას ასრულებენ და პოლიტიკური ძალაუფლების წინაშე მარტო არ ტოვებენ, მასთან შუამავლის ფუნქციას ასრულებენ და ადამიანს მათ აღქმას უადვილებენ, რაციონალისტური პერსპექტივიდან, ადამიანთა მასებზე ელიტების დომინირებას ნიღბავს.



USAID
 ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
 MANAGEMENT
 INSTITUTE
 კანონის უზენაესობის მხარდგაცერის
 საქართველოში (PROLoG)



საერთაშორისო
 უფლებების
 ინსტიტუტი
 NATIONAL INSTITUTE
 FOR HUMAN RIGHTS



შესაბამისად, რაციონალისტურ-პროგრესისტული პროგრამა მოიცავს ადამიანის პროგრესული გათავისუფლების მძლავრ იმპულსს, სადაც ადამიანს როგორც უფლების სუბიექტს და ძალაუფლების სუბიექტს არ სჭირდება შუამავალი ინსტიტუტები. ეთიკური ავტონომიის ლიბერალური იდეალი ადამიანისგან მოითხოვს თავად განსაზღვროს კარგი ცხოვრების საკუთარი იდეალები და იცხოვროს მათ შესაბამისად.

ეთიკური ავტონომიის ეს იდეალი გულისხმობს იმასაც, რომ ადამიანმა შეიძლება აირჩიოს ერთი ან რამდენიმე, ხშირად ერთმანეთთან შეუთავსებელი ცხოვრების ფორმებიც, მათ შორის ის ფორმებიც რომელსაც საზოგადოებრივი ინსტიტუტები სთავაზობენ. თუმცა, ინდივიდუალური არჩევანის ლიბერალური მოდელი კრიტიკულ წინაღობას აწყდება იმ საზოგადოებრივ ინსტიტუტებში, რომლებიც თავისუფალ და თანასწორ სუბიექტებს შორის ხელშეკრულების მოდელზე არ არიან მოწყობილი. ოჯახი, რომელიც მეუღლეებზე პასუხისმგებლობის ტვირთს განსახვავებულად ანაწილებს; რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც წევრებისგან საკუთრების დათმობას ან მნიშვნელოვანი ნაწილის შეწირვას მოითხოვს, არასრული და ალბათ არც ყველაზე უფრო წინააღმდეგობრივი მაგალითებია ამ ფენომენისა.

ყველაზე პრობლემური რაციონალისტურ-პროგრესული გადმოსახედიდან მაინც ისაა, რომ ეს საზოგადოებრივი ინსტიტუტები, ჯგუფური ცხოვრების ინსტიტუციური ჩარჩოები, არ თმობენ საკუთარ „საშუამავლო“ ფუნქციას. ბევრი ადამიანისთვის ლიბერალური კონსტიტუციური არქიტექტურის ლეგიტიმურობა ამ კონსტიტუციური სისტემის მიერ მათი ჯგუფური თუ ინსტიტუციური მიკუთვნებულობის აღიარებას ეფუძნება. მაგალითისთვის, რელიგიური ადამიანებისთვის ხშირად ხელისუფლების ლეგიტიმაციის აღიარება მათი ჯგუფური სუბიექტობის და არა უფლების თუ კონსტიტუციური წესრიგის სუბიექტობის აღიარებაზე გადის. თანამედროვე ლიბერალურ თეორიაში ჯონ როულსის „ურთიერთმფარავი კონსენსუსის“ ცნებაში სწორედ ეს შესაძლებლობაა თეორიზებული. აღნიშნული ცნება უშვებს ადამიანების მიერ კონსტიტუციური სისტემის ფუნდამენტური პრინციპების გაზიარებას ყოვლისმომცველი ეთიკური იდეალების-როგორც რელიგიურის ისე ფილოსოფიურის, საფუძველზე.



USAID
 ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
 MANAGEMENT
 INSTITUTE
 კანონის უზენაესობის მხარდგებობის
 საქართველოში (PROLoG)



საერთაშორისო
 უფლებების
 ინსტიტუტი
 NATIONAL INSTITUTE
 FOR HUMAN RIGHTS



რაციონალისტი ლიბერალებისთვის კონსტიტუციური სისტემის ლეგიტიმაციის დაფუძნება რაციონალურ შემეცნებასა და კონტროლს მიღმა მყოფი ინსტიტუტების „შუამავლობაზე“ ამ კონსტიტუციური სისტემის სტაბილურობისა და შესაბამისად მასზე დაფუძნებული ინდივიდის გათავისუფლების პროექტისთვის მომაკვდინებელ საფრთხედ აღიქმება. თუმცა გულუბრყვილო იქნება იმის მტკიცება, რომ რაციონალისტური პროექტი მხოლოდ ყველა საზოგადოებრივი ინსტიტუტისგან გათავისუფლებული, ატომიზებული „სუვერენი ინდივიდის“ გლობალური განხორციელებით მიიღწევა.

მეოცე საუკუნის ტოტალიტარულმა ექსპერიმენტებმა ცხადად აჩვენა, რა მოსდევს ატომიზებული ინდივიდის კონცენტრირებულ ძალაუფლებასთან პირისპირ დარჩენას. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი რაციონალისტურ-ლიბერალური პროექტები უფრო ფრთხილი იყვნენ სოციალური სოლიდარობის ინჟინერიის ახალ პროექტებში, რომლებსაც ტრადიციული „შუამავალი“ ინსტიტუტების ალტერნატივა უნდა შეექმნა, ოღონდ გონივრულად შექმნილი, შესაბამისად განჭვრეტადი და მართვადი ინსტიტუტების სახით.

ამ როლს ასრულებდა ერი-სახელმწიფოს ტრადიციული ლიბერალურ-ნაციონალური პროექტისთვის კეთილდღეობის სახელმწიფოს ან სოციალური სამართლიანობის პროექტის მიზმა. ამგვარად ორგანიზებულ პოლიტიკურ საზოგადოებას უნდა დაეკმაყოფილებინა ყველა ის მატერიალური თუ სულიერი მოთხოვნილება, რომელთა „მიწოდების“ ფუნქციასაც მანამდე სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტები, განსაკუთრებით კი ტრადიციული წარმოშობის, ასრულებდნენ. ამ პროექტებს მეტ-ნაკლები წარმატება ჰქონდათ ევროპისა და ამერიკის კონტინენტებზე, რომელთა ამომწურავი განხილვა სცდება ამ ლექციის მიზნებს. თუმცა მათი წარუმატებლობები რაციონალისტ-პროგრესისტი ლიბერალებისთვის ერთგვარი ბიძგი იყო, რომ მათ საზოგადოებისა და უფრო ზუსტად კულტურისკენ შემობრუნება დაეწყათ.

ის რაც დღეს „იდენტობის პოლიტიკის“ ან „კულტურული მემარცხენეობის“ სახელითაა ცნობილი ეფუძნება სწორედ ადამიანთა საზოგადოების ყოვლისმომცველი პოლიტიკური ინტეგრაციის პროექტების ჩავარდნის აღიარებას. ეს გარკვეულწილად პოლიტიკური საზოგადოების/ორგანიზებული საჯარო ხელისუფლებისა და უფრო ფართო საზოგადოების დუალიზმის, მათ შორის გადაულახავი მიჯნის არსებობის არაპირდაპირი გაზიარებაცაა ამ



USAID
 ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
 MANAGEMENT
 INSTITUTE
 კანონის უზენაესობის მხარდგებრი
 საქართველოში (PROLoG)



საერთაშორისო
 უფლებების
 ინსტიტუტი
 NATIONAL INSTITUTE
 FOR HUMAN RIGHTS



მტკიცების ყოფილი დაუძინებელი მტრების მიერ. თუმცა თუ კონსერვატიულ-პლურალისტურ პროექტში პოლიტიკური ხელისუფლება პატივს სცემს ზღვარს მასსა და ფართო საზოგადოების კულტურულ, რელიგიურ თუ ეკონომიკურ ინსტიტუტებს შორის, ცდილობს გაითვალისწინოს ამ უკანასკნელთა „ეკოლუციური“ დინამიკა, „იდენტობის პოლიტიკა“ უფრო რაციონალისტური პროექტია, რომელიც საზოგადოების მრავალფეროვნების გეგმაზომიერი პოლიტიკური მართვის დაშვებას ეფუძნება.

„კულტურულმა მემარცხენეებმა“ გაითავისეს, რომ ადამიანის ყველა მოთხოვნილებას განსაკუთრებით ეთიკურ, „იდენტობისა“ და „მიკუთვნებულობის“ ნაწილში არც აბსტრაქტული რაციონალური პასუხი აქვს და არც ასეთივე რაციონალური იდეალის საფუძველზე მიღებული საყოველთაო პოლიტიკური გადაწყვეტა, რომელიც შეიძლება ზოგადი კანონის ფორმით ჩამოაყალიბო და იძულებით აღასრულო. შესაბამისად, მათი პროექტი იყო იმ ადამიანებისთვის სოციალური საყრდენის გამონახვა, რომლებმაც ვერც ეროვნული კეთილდღეობის სახელმწიფოს მოქალაქეობაში და ვერც ტრადიციული ინსტიტუტების წევრობაში ვერ იპოვეს საკუთარი თავი.

„იდენტობის პოლიტიკის“ შემქნელები სწორად მიხვდნენ, თუ უნივერსალური საარჩევნო ხმის უფლების პირობებში, რამხელა პოლიტიკური ძალა იყო ყველა სხვა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ინსტიტუტს მიღმა აღმოჩენილი და გარიყული ადამიანების კონკრეტული ნიშნით (რასა, რელიგია, გენდერი, სექსუალური ორიენტაცია და აშ.) მობილიზება და ამის საკუთარ პოლიტიკურ ძალაუფლებაში გადათარგმნა წარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტიტუტების ფარგლებში. თუმცა ისინი შეცდნენ მოლოდინში, რომ ამ პროცესით საზოგადოების სტრუქტურას სრულად შეცვლიდნენ და მათ შორის ტრადიციულ „შუამავალ“ ინსტიტუტებს რასობრივი თუ გენდერული „იდენტობის ჯგუფებით“ ჩანაცვლებდნენ. საზოგადოების მრავალფეროვნების რაციონალურად დაგეგმვად და კონტროლირებად პროცესად წარმოდგენა, რომელსაც პოლიტიკური სისტემის პრიმატი უნდა უზრუნველყო საზოგადოებრივი ინსტიტუტების ინჟინერიისა და კონტროლის გზით, კრიზისულ წერტილს თანამედროვე კონსერვატიული პოპულიზმის აღზევებისას მიაღწია.



USAID
 ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
 MANAGEMENT
 INSTITUTE
 კანონის უზენაესობის მხარდგებრი
 საქართველოში (PROLoG)



საერთაშორისო
 უფლებების
 ინსტიტუტი
 NATIONAL INSTITUTE
 FOR HUMAN RIGHTS



ევროპელი თუ ამერიკელი კონსერვატიული პოპულისტები, რომლებიც „კულტურული მემარცხენეების“ მტრის ხატს იყენებენ პოლიტიკური მობილიზაციისთვის, საზოგადოების აღქმის ფუნდამენტურ დონეზე დიდად არ განსხვავდებიან მათი „კულტურული მემარცხენე“ ოპონენტებისგან. კონსერვატორი პოპულისტებისთვის ტრადიციული საზოგადოებრივი ინსტიტუტების დაცვის რიტორიკა მასობრივ დემოკრატიაში მხოლოდ ამ ინსტიტუტებს მიკუთვნებული ადამიანების მობილიზების საშუალებაა პოლიტიკური ძალაუფლების მისაღებად. კონსერვატორი პოპულისტებიც სახელმწიფოს მოტრფიალე „სტეიტისტები“ არიან, რომელთაც არ უნდათ პოლიტიკასა და საზოგადოებას შორის არსებული ზღვარის აღიარება, საზოგადოებისა და მისი ინსტიტუტების, პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი სრული დაქვემდებარება და მათი მართვა უნდათ.

სწორედ ამ კონტექსტში უნდა გავიგოთ დასავლელი კონსერვატორი პოპულისტების მსგავსად, რუსული იმპერიული პროპაგანდით შთაგონებული „კონსერვატიული სტეიტიზმი“, რომელიც მოგვიწოდებს რომ ტრადიციული ინსტიტუტების დაცვის საბაზით მათი „კონსტიტუციონალიზაცია“ მოვახდინოთ. ეს უმეტესად გეიქორწინების საკონსტიტუციო აკრძალვის ინიციატივებში ვლინდება. თანამედროვე რუსული იმპერიული იდეოლოგია სწორედ იმპერიის პოლიტიკური ქოლგის ქვეშ მართულ, „ტრადიციულ“ ინსტიტუტებზე მოწყობილ იერარქიულ საზოგადოებაზეა დაშენებული. ეს ფუნდამენტურად კაცთმოძულე ხედვა თანაბრად მიუღებელი უნდა იყოს არა მხოლოდ რაციონალურ-პროგრესისტი ლიბერალებისთვის, არამედ მათთვისაც ვინ ლიბერალიზმის კონსერვატორულ-პლურალისტურ გაგებას იზიარებს.

პოპულისტური კონსერვატორული სტეიტიზმის პოლიტიკური სტრატეგია ეფუძნება სატყუარას, რომ „გეიქორწინების“ აკრძალვით ოჯახი როგორც ტრადიციული ინტიტუტი „გადარჩება“. სინამდვილეში კი ოჯახს როგორც საზოგადოებრივი თანაცხოვრებისა და თანმშრომლობის მნიშვნელოვან ინსტიტუტს „გეი ქორწინების“ პრაქტიკაზე მეტად სახელმწიფოსთვის ოჯახისა და ქორწინების შინაარსის განსაზღვრის უფლებამოსილების მიცემა ემუქრება. ამ ძალაუფლების ერთხელ განხორციელება პოლიტიკური ძალაუფლების მაძიებელი ჯგუფებისთვის შექმნის ილუზიას, რომ საქართველოს პარლამენტში მანდატების



USAID
 ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
 MANAGEMENT
 INSTITUTE
 კანონის უზენაესობის მხარდგაცერს
 საქართველოში (PROLOG)



საქართველოს
 ეროვნული ინსტიტუტი
 NATIONAL INSTITUTE
 FOR HUMAN RIGHTS



3/4 -ის მობილიზებით შეეძლება არა მხოლოდ საჯარო ხელისუფლების არქიტექტურა შეცვალონ არამედ საზოგადოებისაც და მისი შემადგენელი ინსტიტუტებისაც.

უმადლესი წარმომადგენლობითი ორგანოს 3/4 -ისთვის მსგავსი უფლებამოსილების მიცემა არა მხოლოდ ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება ლიბერალურ კონსტიტუციონალიზმს, არამედ უმთავრეს კონსერვატორულ ინსტინქტსაც, რომ საზოგადოებრივი ინსტიტუტები წინ უსწრებს ნებისმიერ საჯარო ხელისუფლებას და მისგან დამოუკიდებლად ვითარდება. ხელისუფლების მიერ სამართლის სისტემაში ამ ინსტიტუტების ასახვა და მის ფარგლებში წარმოშობილი უფლება-მოვალეობების აღიარება, თავისუფალი ადამიანებისა და ადამიანთა საზოგადოების პირველადობის აღიარებაა საჯარო ხელისუფლებასთან მიმართებით.

ქორწინება და ოჯახი როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტები წინ უსწრებენ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციას და მის 36-ე მუხლს. ამ ინსტიტუტების პრე-პოლიტიკური ბუნების აღიარება ეფუძნება სკეპტიციზმს, რომ სადღაც ან ვინმესთან (მათ შორის თუნდაც საზოგადოების წევრი ადამიანების 3/4-ის სახელით მოსაუბრებთან) არის საბოლოო ჭეშმარიტება თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი საზოგადოება და როგორი უნდა იყოს მისი სუბიექტი-ადამიანი.

ადამიანის თავისუფლება სწორედ ამ გამყოფი ხაზის არსებობაზე გადის, რომელიც ჭეშმარიტებაზე ფუნდამენტური უთანხმოების შენარჩუნებით, ადამიანებს თავისუფალი მოქმედების, მათ შორის შეცდომის დაშვების შესაძლებლობას უტოვებს.

ლექციის დასაწყისში ვსაუბრობდი კონსტიტუციური უფლების სუბიექტის შესაფერ საზოგადოებრივ სტრუქტურაზე. ვფიქრობ სწორედ საზოგადოებისა და მისი ინსტიტუტების მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და მათ თავისუფალ განვითარებაში შეიძლება ვიპოვოთ კონსტიტუციის სუბიექტის საყრდენი. თავისუფალი, თანასწორი, გონიერი ადამიანი ამ იდეალების კონსტიტუციის ტექსტში ჩაწერით არ იქმნება.

მათთაც ვისაც ადამიანის შესაძლებლობების სასრულობის სჯერათ და მათთაც ვისთვისაც ადამიანის შესაძლებლობების ზღვარი მხოლოდ მისი უსაზღვრო წარმოსახვაა, შეუძლიათ გაიზიარონ რომ თავისუფალი ადამიანისთვის როგორც აბსტრაქტული კონსტიტუციური



USAID
აშერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდგებურა
საქართველოში (PROLoG)



აპრილის უიკინგის
ინსტიტუტი
NATIONAL INSTITUTE
FOR HUMAN RIGHTS



იდეალების, ისე ამ იდეალების საფუძველზე მოწყობილი საჯარო ხელისუფლების ჩარჩო ყოველთვის უკმარი იქნება. ნებისმიერი კონსტიტუციის გამოწვევაც ლეგიტიმაციის შენარჩუნების ნაწილში სწორედ იმაშია, რომ მას არც საკუთარი სუბიექტის შექმნა შეუძლია ერთხელ და სამუდამოდ და არც მისი ერთგულების მოპოვება. ამიტომ არის ნებისმიერი კონსტიტუცია მხოლოდ მუშა და დაუსრულებელი პროექტი. ამავე დროს, მხოლოდ ასეთ შეზღუდული ამბციებისა და დაუსრულებელ კონსტიტუციურ პროექტს შეუძლია მის სუბიექტი ადამიანებისთვის თავისუფლების მიცემა.